ქალი და რეალობა
WOMAN & REALITY

პრაქტიკული რჩევები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის გენდერის ნიშნით ძალადობასა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე

გზამკვლევი

თბილისი
2022

ქალთა ფონდი საქართველოში
WEMEN'S FUND IN GEORGIA

პრაქტიკული რჩევები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის გენდერის ნიშნით ძალადობასა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე

გზამკვლევი

თბილისი

2022

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადებულია „ქალთა ფონდი საქართველოში“ (WOMEN'S FUND IN GEORGIA) ფინანსური მხარდაჭერით პროექტის ფარგლებში: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები სრული და ეფექტური ჩართულობისა და გენდერული თანასწორობისთვის“.

სახელმძღვანელოს შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „ქალი და რეალობა“ და ქალთა ფონდი საქართველოში (WOMEN'S FUND IN GEORGIA) არ იღებს პასუხისმგებლობას სახელმძღვანელოს შინაარსობრივი მხარის სისწორესა და ავტორთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე.

ქალთა ფონდი საქართველოში
WEMEN'S FUND IN GEORGIA

ქალი და რეალობა
WOMAN & REALITY

გზამკვლევის ავტორები:
ანა ქათამაძე
თამარ მაჭარაშვილი

დიზაინი:
ნანა საღარაძე

სარჩევი

გზამკვლევის შესახებ 5

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები საქართველოში 6

ზოგადი მიმოხილვა 6

შეზღუდული შესალებლობის მქონე ქალები და დისკრიმინაცია 7

შეზღუდული შესაძლებლობა, გენდერი და ოჯახში ძალადობა 10

რა არის ძალადობა? 10

რა არის გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობა? 14

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობა 16

რა უნდა დავიმახსოვროთ გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობაზე? 17

ოჯახში ძალადობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგოები და ქალები 18

რა არის ოჯახში ძალადობა? 18

ოჯახში ძალადობის სტატისტიკა შეზღუდული შესაძლებლობის ჭრილში 18

ოჯახში ძალადობის ფორმები შეზღუდული შესაძლებლობის ჭრილში 19

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინაშე არსებული ბარიერები 20

ბარიერები პანდემიის პირობებში 21

რეაგირება ოჯახში ძალადობაზე 22

საკანონმდებლო აქტების ბაზა 25

საერთაშორისო დოკუმენტები 25

ეროვნული დოკუმენტები 26

რა უნდა ვიცოდეთ ქალთა გაძლიერებასა და ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული დოკუმენტების შესახებ? 28

სასარგებლო ბმულები 29

ბიბლიოგრაფია: 31

გზამკვლევის შესახებ

გზამკვლევის მიზანია გენდერის ნიშნით ძალადობასა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების ინფორმაციული გაძლიერება.

გზამკვლევი დაეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს და გოგონებს ძალადობის ფორმებისა და მისი შესაძლო ნიშნების იდენტიფიცირებაში.

გზამკვლევი სთავაზობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს და გოგონებს პრაქტიკულ მაგალითებს და საჭირო რესურსებს, რათა მათ შეძლონ საკუთარი უფლებების ინფორმირებული ადვოკატირება და თავად შეუწყონ ხელი საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებსა და გოგონებზე მორგებული ძალადობისგან დაცვის ინკლუზიური სერვისების შექმნას.

აკრონიმები

WHO	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
CRPD	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია
CEDAW	კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
SDGs	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები
ICPD	მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენცია
შშმ	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები საქართველოში

ზოგადი მიმოხილვა

შშმ პირის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიშის თანახმად, მსოფლიოში მცხოვრები ქალების 19.2%-ს აღენიშნება სხვადასხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობა, მაშინ როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი კაცებისთვის 12%-ს შეადგენს[1]. შშმ ქალები და გოგონები სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ყოველ-დღიურად აწყდებიან სისტემური ჩაგვრის არაერთ ფორმას, მათ შორის ინფორმაციასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის კუთხით და იმყოფებიან გენდერული ნიშნით თუ ოჯახში ჩადენილი ძალადობის მომეტებული რისკის ქვეშ.

ძალადობისა თუ დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის მიმართ შშმ ქალების და გოგონების განსაკუთრებულ მოწყვლადობას თანაბრად განაპირობებს როგორც საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებები, ასევე თავად შშმ ქალების ცნობიერების დაბალი დონე გენდერისა და შეზღუდული შესაძლებლობის თანაკვეთის საკითხებზე.

საქართველოში მცხოვრებ შშმ პირთა ზუსტი სტატისტიკა ცნობილი არ არის, რამდენადაც რაოდენობა დაითვლება მხოლოდ სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა მონაცემებზე დაყრდნობით, რაც 2020 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის 3.5% -ია (130 046 პირი) და გაცილებით ნაკლებია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 10-15%-იან მონაცემთან შედარებით[2]. სოციალური პაკეტის მიმღები შშმ პირებიდან 49 320 ქალია[3], რაც საქართველოში მცხოვრები ქალების (1.93 მილიონი ქალი) დაახლოებით 2.4%-ს შეადგენს, თუმცა თუ გავითვალისწინებთ სტატისტიკის წარმოების მიმართულებით არსებულ ხარვეზებს, აღნიშნული მონაცემები რეალურ სურათს არ იძლევა.

შშმ პირთა მიმართ საზოგადოებაში არსებული განწყობები მათი საჭიროებების სრულად უგულებელყოფიდან, მათი უფლებების საკანონმდებლო და პოლიტიკურ დონეზე აღიარებამდე ხშირად იცვლებოდა. ამ მიმართულებით დისკუსია დღემდე აქტიურად გრძელდება, თუმცა თანამედროვე მიდგომები ფოკუსირდება არა სამედიცინო ან საქველმოქმედო მოდელებზე (რაც გულისხმობს სამედიცინო დიაგნოზზე ან შშმ პირების ქველმოქმედების ობიექტებად წარმოჩენაზე აქცენტის გაკეთებას), არამედ სოციალურ და უფლებადაცვით მიდგომებზე.

- სოციალური მიდგომა - სოციალური მოდელი შეზღუდულ შესაძლებლობას უკავშირებს მიუწვდომელ გარემოს და იმ ფიზიკურ, დამოკიდებულებით თუ კომუნიკაციის ბარიერებს, რომელიც იწვევს შშმ პირების გარიყვას, დისკრიმინაციას და რესურსებზე, ინფორმაციასა თუ სერვისებზე არათანაბარ მისაწვდომობას. შესაბამისად, სრული ჩართულობისა და ინკლუზიისთვის აღნიშნული მოდელი ხაზს უსვამს ამ ბარიერების დაძლევაში საერთო პასუხისმგებლობის გაზიარებას.
- უფლებადაცვითი მიდგომა - აღნიშნული მიდგომა მოიაზრებს შშმ პირებისთვის ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების სხვათა თანასწორად დაცვას და სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი თუ საერთაშორისო დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებას.

---

[1] World Report on Disability. 2011. ხელმისაწვდომია https://www.who.int/disabilities/world_report/2011/report.pdf ბოლოს ნანახია: 11.01.2022

[2] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ საქართველოში არსებული სტატისტიკური მონაცემები და ამ მხრივ არსებული გამოწვევები. კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. ხელმისაწვდომია: http://disability.ge/ge/blogi/aq-unda-iyos-statistika ბოლოს ნანახია: 12.01.2022

[3] იქვე

შეზღუდული შესალებლობის მქონე ქალები და დისკრიმინაცია

ვინ არის შეზღუდული შესაძლებლობის პირი

საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ შშმ პირებს მიაკუთვნებს ადამიანებს, რომელთაც აქვთ „მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევა, რომლის სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში“[4]

გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის მე-6 მუხლი აღიარებს, რომ **„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები მრავალგვარი დისკრიმინაციის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან“ და ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მიიღონ ზომები „მათი უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა სრული და თანაბარი უზრუნველყოფისათვის“**.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (CRPD)

მუხლი 6 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები

1. **მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები მრავალგვარი დისკრიმინაციის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან და, ამასთან დაკავშირებით, იღებენ ზომებს მათი უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა სრული და თანაბარი უზრუნველყოფისათვის.**

2. **მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა ქალთა ყოველმხრივი განვითარების, წინსვლის, დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და წინამდებარე კონვენციით მათთვის მინიჭებული უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა გარანტირებისათვის.**

შშმ პირები არ არიან ერთგვაროვანი; შშმ ქალები და გოგონები განიცდიან დისკრიმინაციის უფრო რთულ ფორმებს გენდერული და შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე და უფრო მეტად მარგინალიზებული და ნაკლებად არიან წარმოდგენილი, ვიდრე არა შშმ ქალები ან/და შშმ კაცები და ბიჭები.

[4] საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ. მუხლი #2. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4923984?publication=0 ბოლოს წაკითხა: 11.01.2022

რა არის დისკრიმინაცია - დისკრიმინაცია გულისხმობს უთანასწორო მოპყრობას - ადამიანების გამორჩევას, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას რაიმე ნიშნით, მათ შორის: სქესი, კანის ფერი, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილება, შეზღუდული შესაძლებლობა და სხვა. დისკრიმინაცია ლახავს თანასწორობის პრინციპს და ართმევს ადამიანებს საკუთარი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას.

დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით - მიემართება დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმას (პირდაპირი, ირიბი, დისკრიმინაცია მრავალი ნიშნით, ინტერსექციური დისკრიმინაცია და სხვა.) როდესაც ხდება ადამიანის გამორჩევა, რაიმე სახის შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამო.

მრავალი ნიშნით დისკრიმინაცია - მრავალი ნიშნით დისკრიმინაციის დროს, ადამიანი განიცდის დისკრიმინაციას ორი ან მეტი ნიშნის გამო (მაგალითად, სქესი და შეზღუდული შესაძლებლობა).თუმცა, ამ შემთხვევაში განსხვავებულ მოპყრობას აღნიშნული ნიშნები ცალცალკე განაპირობენ და არა ერთობლივად.

ინტერსექციური დისკრიმინაცია - ინტერსექციური, ანუ ისეთი გადაკვეთა, როდესაც დისკრიმინაციის რამდენიმე ფორმა ერთ ადამიანში იყრის თავს.[5]

ინტერსექციური დისკრიმინაციის შემთხვევაში, პირის მახასიათებლები აღიქმებიან არა კრებით ფორმაში, არამედ კომბინირებულად. მაგალითად, მე თუ ვარ შავკანიანი ქალი და ამასთანავე შეზღუდული შესაძლებლობის, საზოგადოება მე არ მიყურებს, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შავკანიან ქალს, არამედ ცალკე - როგორც ქალს, ცალკე - როგორც შშმ პირს, ცალკე - როგორც შავკანიანს. შედეგად ვიღებთ, რომ შენ ხარ საზოგადოებაში ორმაგად, სამმაგად, ოთხმაგად დისკიმინირებული.

ზოგად ჭრილში, ინტერსექციულობა უკავშირდება იდეას, რომ ყველა ადამიანი ერთზე მეტ იდენტობას ატარებს,[6] რომლებიც ერთდროულად თანაარსებობენ და განსაზღვრავენ ადამიანების უნიკალურ გამოცდილებას. მაგალითად, საქართველოში მცხოვრები „ეთნიკურად არა ქართველი შშმ ქალის“ გამოცდილება განსხვავებულია ეთნიკურად ქართველი ქალებისგან, არა შშმ ქალებისა და ეთნიკურად არა ქართველი კაცებისგან. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ისინი დისკრიმინაციას შეიძლება სამი ნიშნის ერთობლიობით განიცდიდნენ - სქესი, შეზღუდული შესაძლებლობა და ეთნიკური კუთვნილება. თუმცა, ორმაგი ბარიერების მიუხედავად, შშმ ქალები ხშირად რჩებიან როგორც შეზღუდულ შესაძ-ლებლობასთან, ისე გენდერულ თანასწორობასთან, მათ შორის გენდერული ნიშნით ძალადობასთან (ოჯახში ძალადობის ჩათვლით) დაკავშირებული სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების, პროგრამებისა და სხვა აქტივობების მიღმა.

---

[5] სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ხელმისაწვდომია:https://inlnk.ru/XO3V3P

[6] Green River College. Holman Library. Diversity, Equity, Inclusion, and Culturally Responsive Education: Intersectionality & Identity. ხელმისაწვდომია: https://libguides.greenriver.edu/c.php?g=699114&p=4958309 ბოლოს ნანახია: 12.01.2022

პრაქტიკული მაგალითი[7]

ინტერსექციური დისკრიმინაციის ჭრილში, საქართველოს სახალხო დამცველმა განიხილა საქმე , რომელიც ეხებოდა ორსული შშმ ქალის მხრიდან რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისის მისაწვდომობას. კერძოდ, განმცხადებლის განმარტებით, სამედიცინო ცენტრში კონსულტაციის დროს, სამედიცინო დოკუმენტაცია მისთვის არამისაწვდომი (ნაბეჭდი) ფორმით მიაწოდეს. სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ „შშმ ქალებთან მიმართებით განსაკუთრებით რელევანტურია ინტერსექციური დისკრიმინაციის კონცეფცია “, ხოლო ამ კონკრეტულ საქმის განხილვისას მიუთითა, რომ „ ქალების სექსუალური ცხოვრების მიმართ არსებული ორმაგი სტანდარტები და ტაბუ განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს მათ მიერ სექსუალურ და რეპრო-დუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სამედიცინო სერვისების მიღების კონფიდენციალურობას, ამ მხრივ, შშმ ქალების მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად არის დამძიმებული, “ რადგან „ხშირად, შშმ ქალები საზოგადოების მხრიდან აღიქმებიან, როგორც „უსქესო“ არსებები,რომელთაც არ გააჩნიათ სექსუალობა და ასევე, მათ არ ესაჭიროებათ რეპროდუქციასთან დაკავშირებული სერვისები“

პრაქტიკული მაგალითი[8]

ინტერსექციური დისკრიმინაციის მაგალითია Degraffenreid v. General Motors Assembly საქმეზე

სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც მოსარჩელე ითხოვდა შავკანიანი ქალის მიმართ დისკრიმინაციის დადგენას. სასამართლომ აღნიშნა, რომ დისკრიმინაცია არ შეიძლებოდა ყოფილიყო არც ცალკე რასის და არც ცალკე სქესის ნიშნით, რადგან ქარხანაში დასაქმებულთა უმრავლესობა წარმო-ადგენდნენ შავკანიანი კაცები, ხოლო ოფისში დასაქმებულები იყვნენ თეთრ-კანიანი ქალები. შესაბამისად შავკანიანი ქალების მიმართ დისკრიმინაცია დადგინდა ორი ნიშნის რასის და სქესის ურთიერთკვეთის შედეგად.

---

[7] ზოგადი წინადადება შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე. ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2021071312330075040.pdf

[8] Green River College. Holman Library. Diversity, Equity, Inclusion, and Culturally Responsive Education: Intersectionality & Identity. ხელმისაწვდომია: https://libguides.greenriver.edu/c.php?g=699114&p=4958309 ბოლოს ნანახია: 12.01.2022

შეზღუდული შესაძლებლობა, გენდერი და ოჯახში ძალადობა

რა არის ძალადობა? [9]

ძალადობა ეს არის ქმედება, რომელიც არღვევს ადამიანის კონსტიტუციით განსაზღვრულ უფლებებს და თავისუფლებებს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობის, იძულების ან უგულებელყოფის გზით. შესაბამისად არსებობს ძალადობის 6 ძირითადი ფორმა:

1. ფიზიკური ძალადობა

განმარტება

ნებისმიერი ქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას

მაგალითი

- ცემა, წამება, დარტყმა, სილის გაწნა
- თავისუფლების უკანონო აღკვეთა (ოთახში, სარდაფში ან სხვა ადგილას გამოკეტვა/იზოლირება, კუთხეში დაყენება და სხვა.)

2. ფსიქოლოგიური ძალადობა

განმარტება

ნებისმიერი ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას

მაგალითი

- შეურაცხყოფა, შანტაჟი, მუქარა
- დამცირება, გინება, სიტყვიერი აგრესია
- მანიპულირება, მაკონტროლებელი ქცევები და სხვა

[9] მომზადებულია ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს ვებ-გვერდზე განთავსებული მასალების მიხედვით. ხელმისაწვდომია: http://myrights.gov.ge/ka/%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/faq/668-dzaladobis-ra-formebi-arsebobs ბოლოს ნანახია: 13.01.2022

3. ეკონომიკური ძალადობა

განმარტება

ქმედება, რომელიც იწვევს:

1. საკვებით, საცხოვრებელი ან ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის უფლების შეზღუდვას
2. საკუთრების და შრომის უფლების მისაწვდომობის განხორციელების შეზღუდვას
3. თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობის და კუთვნილი წილით განკარგვის უფლების შეზღუდვას

მაგალითი

- საკუთრებისთვის ზიანის მიყენება
- ფინანსურ რესურსებზე წვდომის შეზღუდვა
- კუთვნილი ფინანსური სარგებლის (მაგალითად პენსია, ხელფასი) უნებართვო განკარგვა
- განათლებაზე ან/და დასაქმებაზე მისაწვდომობის შეზღუდვა
- მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვა და სხვა

4. სექსუალური ძალადობა

განმარტება

ქმედება, რომელიც მიმართულია ადამიანის სექსუალური თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინაარმდეგ - სექსუალური ხასიათის კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით, მისი თანხმობის გარეშე.

მაგალითი

- გაუპატიურება (სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევის განხორციელება სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით)
- სექსუალური ხასიათის სხვა აქტის განხორციელება ადამიანთან მისი თანხმობის გარეშე
- ადამიანის იძულება ქონდეს სექსუალური ხასიათის აქტი სხვა ადამიანთან მისი თანხმობის გარეშე
- გარყვნილი ქმედება ძალადობის გარეშე (16 წელს მიუღწეველ პირთან) და სხვა.

5. იძულება

განმარტება

ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება,რათა მან:

1. შეასრულოს ან არ შეასრულოს კონკრეტული ქმედება, რომლის განხორციელება (ან არ განხორციელება) მისი უფლებაა.
2. საკუთარ თავზე განიცადოს რამე სახის ზემოქმედება თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ.

მაგალითი

- სასქესო ორგანოების დამახინჯების იძულება;
- იძულებითი კონტრაცეფცია ან აბორტი
- ქორწინების იძულება ან ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხორციელდება ადამიანის სურვილის წინააღმდეგ და სხვა.

6. უგულებელყოფა

განმარტება

მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და განვითარებისთვის აუცილებელი საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა როდესაც მათ აქვთ შესაბამისი ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელმისაწვდომობა შესაბამის მომსახურებაზე.

მაგალითი

- საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა
- საფრთხისგან დაუცველობა
- საკვებით, წყლით ან სეზონის შესაბამისი ტანსაცმლით უზრუნველყოლყოფის შეზღუდვა
- ჰიგიენის წესების დაუცველობა
- საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო დახმარების არ მიწოდება - სამედიცინო საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა და სხვა.

შესაძლებელია თუ არა ადამიანი ერთდროულად განიცდიდეს ძალადობის რამდენიმე ფორმას?

შესაძლებელია. მაგალითად, სექსუალური ძალადობა ხშირად ხორციელდება ფიზიკურ ძალადობასთან ერთად, ფიზიკურ ძალადობას შეიძლება თან სდევდეს ფსიქოლოგიური ძალადობა, ადამიანი შეიძლება განიცდიდეს ძალადობის სხვადასხვა ფორმას ოჯახში (როგორც ფიზიკურს, ისე ფსიქოლოგიურს, ეკონომიკურს და სექსუალურს და სხვა).

შესაძლებელია თუ არა ადამიანი განიცდიდეს ძალადობის რომელიმე ფორმას ისე რომ არ იცოდეს ამის შესახებ?

ადამიანი ცხოვრების განმავლობაში ძალადობის არაერთ ფორმას შეიძლება განიცდიდეს, ისე რომ არ იცოდეს რომ მოქმედება თუ უმოქმედობა, რომელსაც მის მიმართ ჩადიან ძალადობაა. აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ძალადობის ყველა ფორმა სისხლის სამართლის წესით დასჯადი დანაშაული არ არის (მაგალითად ბულინგი), თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს ან საზოგადოებას მასზე რეაგირება არ უნდა ქონდეს. ამიტომ ძალადობის ნებისმიერი ფორმით განხორციელების შემთხვევაში ყველას აქვს შესაბამისი მხარდაჭერის მიღების უფლება, თუმცა იმისთვის, რომ ძალადობის ობიექტმა ასეთი მხარდაჭერა მოითხოვოს, პირველ რიგში აუცილებელია იმის გააზრება, რომ მის მიმართ განხორციელებული ქმედება ძალადობაა.

ძალადობის შესაძლო ნიშნები[10]

- სისხლჩაქცევები; დამწვრობა; ძვლების მოტეხილობა; დისლოკაცია.
- შინაგანი დაზიანებები; დეჰიდრატაცია.
- ადაპტირებული მოწყობილობების ნაკლებობა; შეუსაბამო სანიტარული პირობები.
- განწყობის ცვალებადობა; იზოლაცია; ნდობის ნაკლებობა.
- ძილის სირთულეები; კვების დარღვევები; ქცევითი სირთულეები და სხვა.

(აღნიშნული არ წარმოადგენს ძალადობის შესაძლო ნიშნების ამომწურავ ჩამონათვალს)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და მოზარდების მიმართ არსებული ძალადობის რისკ ფაქტორები[11]

- შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მათზე მზრუნველ პირებზე დამოკიდებულება;
- მხარდამჭერი სერვისების ნაკლებობა მათზე მზრუნველი პირებისთვის;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და მათი ოჯახების იზოლაცია;
- სოციალური უნარების განვითარების შესაძლებლობის ნაკლებობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის ფორმა და გამოხატვის სიმძიმე;
- გენდერი, სიღარიბე და სხვა სოციოეკონომიკური ფაქტორები;
- დაბალი შემოსავალი და დასაქმების ლიმიტირებული შესაძლებლობა;
- პირადი ხასიათის საკითხებზე კონტროლის და არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის ნაკლებობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ნდობის ნაკლებობა მაშინ, როდესაც ისინი აცხადებენ ძალადობის შესახებ;
- მოძალადეების მხრიდან ალკოჰოლის ან ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენება.

---

[10] A Handbook for Healthcare Providers to Address Violence Against Women with Disabilities. ხელმისაწვდომია: https://www.nj.gov/humanservices/dds/documents/VAWD%20healthcare%20provider%20guide.pdf ბოლოს ნანახია: 02.02.2022

[11] იქვე.

რა არის გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობა?

ძალადობის ზემოაღნიშნულ ფორმებს თითქმის ყველა კულტურასა და საზოგადოებაში შეხვდებით, თუმცა ყველაზე ხშირად, ადამიანები ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ, ეკონომიკურ ძალადობას თუ იძულებას მათი სქესის და გენდერული იდენტობის გამო განიცდიან. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ ადგილი აქვს გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობას (Gender-Based Violence).[12]

გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობა გულისხმობს, რომ ადამიანი ძალადობის ობიექტი მისი სქესის ან გენდერული იდენტობის გამო ხდება და რადგან ძალადობის ამ სახეს ძირითადად ქალები განიცდიან, ეს ტერმინი ხშირად გაიგივებულია ქალთა მიმართ ძალადობასთან (ძირითადად ეს ასეც არის). თუმცა, გენდერული ნიშნით ძალადობა შესაძლოა კაცების წინააღმდეგაც ხორციელდებოდეს. (მაგალითად, პირველი სექსუალური კონტაქტის იძულება "დაკაცების" მიზნით გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ფორმაა, რადგან მას განაპირობებს საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპები - ანუ შეხედულებები იმის შესახებ, თუ როგორები უნდა იყვნენ ქალები და კაცები, როგორი ქცევები ან თვისებები უნდა ქონდეთ მათი სქესიდან გამომდინარე და სხვა).
რაც შეეხება გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობას, რომელიც გოგონებისა და ქალების წინააღმდეგ ხორციელდება, აქ ძალადობის ტიპები უფრო მრავალფეროვანია. მაგალითად:

ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინება

→ ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინების დროს ერთი ან ორივე მეუღლე 18 წლამდე პირია. თუმცა, ძირითადად ბავშვთა ქორწინება გოგონების შემთხვევაში, იძულებით და ყველაზე ხშირად მათზე ასაკით უფროს კაცებზე ხდება, რასაც თან სდევს ძალადობის სხვა ფორმები, სკოლის მიტოვება, განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობის შეზღუდვა და სხვა. გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის მაგალითია ასევე მოტაცება ქორწინების მიზნით.

სასქესო ორგანოების დამახინჯება

ქალთა სასქესო ორგანოების დამახინჯება გულისხმობს ერთგვარი "რიტუალის" ჩატარებას, რომლის დროსაც ხდება კლიტორის ან სასირცხო ბაგეების ნაწილობრივი ან სრული ამოკვეთა სამედიცინო საჭიროების გარეშე. სასქესო ორგანოების დამახინჯება სოციალური ნორმაა და მისი მიზანი სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია, თუმცა, ყველაზე ხშირად ასოცირებულია რწმენასთან, რომ ეს მნიშვნელოვანია მომავალი ქორწინებისთვის/ოჯახის ღირსებისთვის, რომ ქალის ლიბიდოს დაქვეითება შეამცირებს მის სექსუალურ აქტივობას, რომ "ბინძური" ორგანოების გარეშე გოგონები "სუფთები და ლამაზები" არიან და სხვა.[13]

---

[12] გენდერული იდენტობა - გენდერული იდენტობა არის „ფუნდამენტური განცდა, რომელიც დაკავშირებულია რომელიმე სქესთან მიკუთვნებულობის შეგრძნებასთან ", შესაბამისად, ადამიანის გენდერული იდენტობა, შესაძლოა, განსხვავდებოდეს მისი სქესისგან. (მაგალითად, სქესი მამრობითი, გენდერული იდენტობა - გოგო/ქალი ან პირიქით, სქესი - მდედრობითი, გენდერული იდენტობა ბიჭი/კაცი.)
„თანასწორობის გზამკვლევი სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებისთვის" © 2021, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია /იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი. 2021. ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/2020/tanasworobis_gzamkvlevi_geo.pdf . ბოლოს ნანახია: 18.01.2022

[13] WHO. Female genital mutilation. 2020. ხელმისაწვდომია: https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/female-genital-mutilation ბოლოს ნანახია: 18.01.2022

"ღირსების" დაცვის მიზნით ჩადენილი მკვლელობა

→ ე.წ. Honor killing არის მკვლელობა, რომლის დროსაც ძირითადად გოგონებს და ქალებს კლავენ თავისი ოჯახის წევრები, რადგან ითვლება, რომ მან ჩაიდინა ოჯახის შემარცხვენელი ან ღირსების შემლახავი ქმედება ან არ დაემორჩილა ოჯახის წევრი (ძირითადად) კაცების მოთხოვნებს და დადგენილ წესებს, რაც ქალის ვალდებულებად ითვლება.

ტრეფიკინგი, ქალთა/გოგონათა სექსუალური ექსპლუატაცია

→ ტრეფიკინგი, იგივე ადამიანებით ვაჭრობა მათ შრომით და სექსუალურ ექსპლუატაციას გულისხმობს, ამ უკანასკნელის ობიექტები კი ძირითადად ბავშვები, გოგონები და ქალები ხდებიან.

ქალთა მიმართ ვირტუალურ სივრცეში ჩადენილი ძალადობა

→ ვირტუალურ სივრცეში განხორციელებულ ძალადობაში იგულისხმება ქალების წინააღმდეგ განხორციელებული მუქარა, ადევნება ,არასასურველი და განმეორებითი კომუნიკაცია, სექსუალური შინაარსის არასასურველი შეტყობინებების, სურათების, ვიდეოების ან სხვა მასალის გაზიარება ნებართვის და სურვილის გარეშე და სხვა .

ზემოაღნიშნული ძალადობის ტიპები არ წარმოადგენს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ამომწურავ ჩამონათვალს, თუმცა ყველა მათგანი ძირითადად სწორედ გოგონებისა და ქალების წინააღმდეგ ხორციელდება. ქალების და გოგონების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობას ყველაზე ხშირად ვხვდებით იმ კულტურებში, სადაც რელიგიური, სოციალური თუ სხვა ნორმებით სქესთა უთანასწორობა წახალისებულია, რასაც ხელს უწყობს სიღარიბე, განათლების დაბალი დონე, საარსებო პირობების ნაკლებობა, დანაშაულის დაუსჯელობა და სხვა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობა

შშმ ქალები და გოგონები გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფია, რასაც ერთობლივად განაპირობებს, როგორც მათი სქესი, ასევე შეზღუდული შესაძლებლობა. გაეროს შშმ პირთა უფლებების და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტები[14] აღნიშნავენ, რომ შშმ გოგონები და ქალები ორჯერ-სამჯერ უფრო ხშირად განიცდიან გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობას მათ შორის ოჯახში, სკოლაში, ინსტიტუციებში თუ ვირტუალურ სივრცეში. მიუხედავად იმისა, რომ შშმ და არა შშმ ქალების მიმართ ჩადენილი ძალადობის ფორმები ხშირად მსგავსია, შშმ ქალები ასევე ხდებიან ძალადობის სპეციფიკური ფორმების ობიექტები, მათ შორის იძულებითი მკურნალობა, სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების დარღვევა და სხვა. შშმ ქალების და გოგონების შემთხვევაში ძალადობის რისკს ზრდის საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები და მცდარი შეხედულებები, რომ მათ არ შეუძლიათ, ან არ უნდა შეეძლოთ გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, კომიტეტებმა ერთობლივად გამოყვეს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ის ფორმები, რომელსაც განსაკუთრებით ხშირად ექვემდებარებიან შშმ ქალები და გოგონები:

- გაუპატიურება და სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ძალადობა მათ შორის ოჯახში და ინსტიტუციებში;
- იძულებითი კონტრაცეფცია, აბორტი და სტერილიზაცია,[15] ან ნებისმიერი სხვა სახის სამედიცინო პროცედურა, რომელზეც არ არსებობს შშმ ქალის თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა;
- შეუქცევადი ქირურგიული პრაქტიკები (ფსიქო ქირურგია- მაგალითად ლობოტომია, სასქესო ორგანოების დამახინჯება და სხვა);
- მიტოვება და უგულებელყოფა (შშმ ქალების და გოგონების ფიზიკური და ფსიქო-ლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, როდესაც ოჯახის წევრებს/მათზე მზრუნველ პირებს ქონდათ შესაბამისი ინფორმაცია და შესაძლებლობა);
- კომუნიკაციის დამხმარე საშუალებების წართმევა ან კომუნიკაციაში დახმარებაზე უარის თქმა;
- მობილობის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა;
- შიშის გამოწვევა სქესის და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დაცინვითა და სიტყვიერი შეურაცხყოფით, ბულინგით, ფსიქოლოგიური მანიპულირებით, კონტროლის განხორციელებით (მაგალითად ოჯახის წევრებთან/მეგობრებთან ვირტუალური თუ პირადი ურთიერთობის შეზღუდვით და სხვა);
- ქირურგიული ან ნებისმიერი სამედიცინო მოპყრობის განხორციელება ინფორ-მირებული და თავისუფალი თანხმობის გარეშე;
- ელექტროშოკური მკურნალობის ჩატარება, ქიმიური, ფიზიკური ან მექანიკური შეზღუდვების გამოყენება, იძულებითი იზოლაცია ან განმარტოება;
- ხანდაზმული შშმ ქალების მიმართ საზოგადოებაში და ინსტიტუციებში გაზრდილი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის რისკი, მათი მომვლელების მხრიდან განხორციელებული უგულებელყოფა, ფინანსური ექსპლუატაცია და სხვა.

---

[14] CRPD Statement-25_11_2021-End-violence-against-Women-1. ხელმისაწვდომია: https://www.un.org/development/desa/disabilities/wp-content/uploads/sites/15/2021/12/CRPD-Statement-25_11_2021-End-violence-against-Women-1.pdf ბოლოს ნანახია: 18.01.2022

[15] ა) იძულებითი აბორტი - აბორტის პროცედურის ჩატარება, შეზღუდული შესაზლებლობის მქონე ქალის თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე

ბ) იძულებითი კონტრაცეფცია -ორსულობის თავიდან აცილების ან მენსტრუაციის მენეჯმენტის (ძირითადად შეწყვეტის) მიზნით კონტრაცეფციის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალის თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე

რა უნდა დავიმახსოვროთ გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობაზე?

→ რა ფორმითაც არ უნდა განხორციელდეს ძალადობა, მას მხოლოდ ერთი პასუხისმგებელი ყავს - მოძალადე;

→ ძალადობა არასდროს არის მსხვერპლის ბრალი;

→ მოძალადეებს ძირითადად მსხვერპლისთვის კარგად ნაცნობი პირები წარმოადგენენ (ოჯახის წევრები, ინტიმური პარტნიორები, ნათესავები და სხვა);

→ ყველა ადამიანს აქვს უფლება იყოს დაცული ძალადობისგან;

→ ყველა ადამიანს აქვს უფლება მიიღოს შესაბამისი მხარდაჭერა (სამართლებრივი, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სხვა) თუ იგი ძალადობის მსხვერპლია;

→ თუ შენ ძალადობის მსხვერპლი ხარ, დახმარების თხოვნა სირცხვილი არ არის, შენ გაქვს უფლება და შეგიძლია შესაბამისი დახმარება კონფიდენციალურადაც (ანონიმურობის დაცვით) მიიღო;

→ შშმ ქალებს აქვთ ნაკლები შესაძლებლობა თავი დაიცვან ძალადობისგან. იზოლაციის გამო მათ ხშირად არ შეუძლიათ მხარდაჭერის თხოვნა ან შეიძლება საერთოდ ვერ ხვდებოდნენ, რომ მათი მისამართით განხორციელებული ქმედება ძალადობაა, რომ ეს ქმედებები მათი ბრალი არ არის და არც მოთმენის ვალდებულება აქვთ.

ოჯახში ძალადობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონები და ქალები

რა არის ოჯახში ძალადობა?

საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ[16] ოჯახში ძალადობას განმარტავს როგორც "ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით".

ოჯახში ჩადენილი ძალადობა ძალადობის ყველაზე გავრცელებული სახეა, რომელიც საზოგადოების ყველა ფენას შეიძლება მოიცავდეს. საქართველომ მისი კრიმინილიზაცია (დანაშაულად აღიარება, რაც ისჯება სისხლის სამართლის წესით) 2017 წელს მოახდინა.

ოჯახში ძალადობის სტატისტიკა შეზღუდული შესაძლებლობის ქრილში

მიუხედავად იმისა, რომ შშმ ქალები განიცდიან ძალადობის არაერთ ფორმას, ისე როგორც არა შშმ ქალები, გენდერისა და შეზღუდული შესაძლებლობის თანაკვეთის საფუძველზე შშმ ქალთა მიმართ ძალადობას ხშირად განსხვავებული მიზეზი, ფორმა და შესაბამისად შედეგი აქვს. ოჯახში ძალადობის სტატისტიკური მონაცემები ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია, თუმცა შშმ ქალთა ქრილში არსებული კვლევები ნათლად აჩვენებენ, რომ ქვეყნის მიუხედავად, შშმ ქალები, შშმ კაცებთან და არა შშმ ქალებთან შედარებით უფრო ხშირად განიცდიან ძალადობის სხვადასხვა ფორმას (ოჯახში ძალადობის ჩათვლით).

მაგალითად, ინგლისში მცხოვრები შშმ ქალების 17.5%-ს განუცდია ოჯახში ძალადობა, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი შშმ კაცებისთვის 9.2% იყო.[17] ასევე, კანადაში სხვადასხვა ფორმის ძალადობის მსხვერპლი ერთი კალენდარული წლის განმავლობაში შშმ ქალების 51% გახდა, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი არა შშმ ქალებისთვის 36% იყო.[18] ავსტრალიაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ შშმ ქალების 36% განიცდის ძალადობას ინტიმური პარტნიორის მხრიდან, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი არა შშმ ქალებისთვის 21%, შშმ კაცებისთვის კი 15% იყო.[19]

სამწუხაროდ, საქართველოში ოჯახში ძალადობის სტატისტიკური მონაცემები შეზღუდული შესაძლებლობის ქრილში ხელმისაწვდომი არ არის. ერთი მხრივ ეს უკავშირდება სახელმწიფოს პოლიტიკას, ხოლო მეორე მხრივ იმ ბარიერებს, სტიგმას და სოციალურ იზოლაციას, რომელიც ართულებს შშმ ქალთა მიმართ არსებული ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირებას და რეალური სურათის მიღებას.

---

[16] ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=21 ბოლოს ნანახია: 11.01.2022

[17] „Disabled people nearly three times as likely to experience domestic abuse as non-disabled, study finds", Charlotte Carter. 2021 ხელმისაწვდომია: https://www.communitycare.co.uk/2021/02/25/disabled-people-nearly-three-times-likely-experience-domestic-abuse-non-disabled-study-finds/ ბოლოს ნანახია: 12.01.2022

[18] DAWN CANADA. Fact Sheet on Women with Disabilities and Violence. ხელმისაწვდომია: https://www.dawncanada.net/issues/women-with-disabilities-and-violence/ ბოლოს ნანახია: 12.01.2022

[19] Centre of Research Excellence in Disability and Health. Prevalence of violence and abuse of people with disability in Australia. ხელმისაწვდომია: https://credh.org.au/nature-and-extent-of-violence/ ბოლოს ნანახია: 12.01.2022

ოჯახში ძალადობის ფორმები შეზღუდული შესაძლებლობის ქრილში

შშმ ქალები ძალადობის იგივე ფორმებს განიცდიან, როგორც სხვა ქალები, როგორიცაა ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური, ტექნოლოგიური ან ფინანსური ძალადობა. თუმცა, მათ ასევე შეუძლიათ განიცადონ სპეციფიური შეზღუდულ შესაძლებლობებზე დაფუძნებული ძალადობა, რომელიც გენდერთან ერთად ძალადობის იმ უნიკალურ ფორმებს ქმნის, რაც განსაკუთრებით აქტუალურია შშმ გოგონებისა და ქალებისთვის.

ფიზიკური ძალადობის სპეციფიკური ფორმები: საკვების, წყლის, მედიკამენტების ან დამხმარე სერვისებზე წვდომის შეზღუდვა; მედიკამენტების, როგორც შემაკავებელი საშუალებების ბოროტად გამოყენება; ფიზიკური შეზღუდვის გამოყენება ან/და საჭირო აღჭურვილობის (ეტლი, ხელჯოხი, სხვა მოწყობილობა) განადგურება ან წვდომის შეზღუდვა და სხვა.

სექსუალური ძალადობის სპეციფიკური ფორმები: არასათანადო შეხება მოვლის დროს; კონტროლის აღება რეპროდუქციული ჯანმრთელობის პროცესების მართვაზე და სექსუალური ხასიათის აქტივობებზე და სხვა.

ფსიქოლოგიური ძალადობის სპეციფიკური ფორმები: შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული სიტყვიერი შეურაცხყოფა; იძულებითი იზოლაცია; უარყოფა; დამცირება; ძალადობის მუქარა; ინსტიტუციონალიზაცია ან ინსტიტუციაში განთავსების მუქარა; მეგზური ძაღლების, შინაური ცხოველების ან/და ოჯახის წევრების დაზიანების მუქარა და სხვა.

ეკონომიკური ძალადობის სპეციფიკური ფორმები: ფულის მითვისება ან კონტროლი; უარის თქმა აუცილებელი მედიკამენტების ან/და შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებულ საჭირო აღჭურვილობის შეძენაზე და სხვა.

ძალადობის სპეციფიკურ ფორმად შეგვიძლია ასევე განვიხილოთ ის კონტროლიც, რომელიც ხშირად ოჯახის წევრების მხრიდან გამოჩენილი „გადამეტებული ზრუნვის“ შედეგიც შეიძლება იყოს. შშმ პირების „დაცვის“ მიზნით, ოჯახის წევრები მათ ხშირად ზღუდავენ სხვადასხვა სფეროში, რასაც უფრო მეტი საზიანო შედეგის გამოწვევა შეუძლია. მაგალითად, შშმ პირებს შესაძლოა ნაკლები თავდაჯერებულობა ქონდეთ და იფიქრონ, რომ თანატოლებისგან განსხვავებით, მათ ბევრი რამე არ შეუძლიათ. შესაბამისად მნიშვნელოვანია გადამეტებული დაცვისა და მზრუნველობის ეფექტების შესახებ ოჯახის წევრების და სხვა პროფესიონალების ცნობიერების ამაღლება.[20]

[20] Karen Y Sanders. Overprotection and lowered expectations of persons with disabilities: the unforeseen consequences. ხელმისაწვდომია: https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/16971765/ ბოლოს ნანახია: 13.01.2022

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინაშე არსებული ბარიერები[21]

ოჯახში ძალადობის ფაქტის შემთხვევაში შშმ ქალები ხშირად შეიძლება არ მიმართავდნენ შესაბამის ორგანოებს ან ვერ სარგებლოდნენ იმ სერვისებით, რომელიც ოჯახში ძალადობის ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის არის ხელმისაწვდომი, რაც ერთობლივად შეიძლება იყოს განპირობებული ინსტიტუციური და სოციალური ბარიერებით.

ბარიერი # 1: ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და კომუნიკაციის შესაძლებლობა

ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სერვისების შესახებ ინფორმაცია შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი ადაპტირებულ/ალტერნატიულ ფორმატში, რადგან სერვისის მიმწოდებლებში არ ქონდეთ კომპლექსური ცოდნა იმ სპეციფიკური სირთულეების შესახებ, რასაც შშმ ქალები აწყდებიან ოჯახში ძალადობის შემთხვევაში. კომუნიკაციის შესაბამისი მეთოდების არ არსებობის პირობებში, შშმ ქალებს შეიძლება საერთოდ არ ქონდეთ ინფორმაცია რომ ასეთი სერვისები არსებობს.

ბარიერი #2: ფიზიკური ხელმისაწვდომობა

მაშინაც კი, თუ შშმ ქალებს აქვთ ინფორმაცია შესაბამის სერვისებზე და არსებობს მიმართვის მზაობა, არადააპტირებულობის გამო თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების გამოყენება შესაძლოა მაინც ვერ ხერხდებოდეს. ფიზიკური ხელმისაწვდომობის არ არსებობა კი მნიშვნელოვანი ბარიერია ყველა შშმ ქალისთვის (და არა მხოლოდ ეტლით მოსარგებლეთათვის), რადგან გარემო არ არის მათ საჭიროებებზე მორგებული.

სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ შშმ პირთათვის გამოწვევად რჩება თავშესაფარზე წვდომა, თავშესაფრები ნაწილობრივ არის ადაპტირებული ეტლით მოსარგებლე შშმ პირებისთვის, ხოლო სხვა სახის შეზღუდვების მქონე პირებზე თავშესაფარი მორგებული არ არის. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ კრიზისული ცენტრები ადაპტირებულია მხოლოდ ეტლით მოსარგებლე შშმ პირებისთვის, ხოლო სხვა შშმ პირებისთვის სივრცე მისაწვდომი არ არის [22]

ბარიერი #3: ორგანიზაციული დამოკიდებულება

სერვისის მიმწოდებლების თუ შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების თანამშრომლებში არსებული დამოკიდებულებები ასევე მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს, რადგან მათ ხშირად არ აქვთ გააზრებული საკუთარი როლი ინკლუზიური სერვისების ხელმისაწვდომობაში. აქ შეიძლება ასევე ვიგულისხმოთ მხარდამჭერი სისტემური მექანიზმების არ არსებობა ან სისუსტე, ხარვეზიანი კანონმდებლობა და პოლიტიკა, სტერეოტიპული დამოკიდებულებები,ნეგატიური წინასწარგანწყობები და სხვა.

---

[21] მომზადებულია Women With Disability and Domestic and Family Violence: A Guide For Policy and Practice მიხედვით. ხელმისაწვდომია: https://pwd.org.au/wp-content/uploads/2018/07/1.-A-Guide-for-Policy-and-Practice.pdf ბოლოს ნანახია:18.01.2022

[22] საქართველოს სახალხო დამცველი. ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში.2020. ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2020122316265153175.pdf ბოლოს ნანახია:18.01.2022

ბარიერი#4 - შიშები

შშმ ქალები შესაძლოა ფიქრობდნენ, რომ შესაბამისი სერვისები არ არის უსაფრთხო და ხელმისაწვდომი ან ქონდეთ იმის შიში, რომ აღნიშნული სერვისები მოახდნენ მათ დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.

ისინი ასევე შეიძლება შიშობდნენ, რომ ძალადობის შესახებ განცხადებამ შეიძლება გამოიწვიოს მათი იზოლაცია, შვილების წართმევა, ფინანსური დახმარებისა და ზრუნვის, თავშესაფრის ან მოძალადისგან მიცემული მცირედი საარსებო პირობების დაკარგვა, ინსტიტუციაში მოთავსება და სხვა. შესაბამისად, ძალადობის რისკს ზრდის ასევე ის ფაქტიც, რომ მოძალადეები ხშირად იყენებენ მათ სოციალურ იზოლაციას და იმ ფაქტს, რომ არაერთი შშმ ქალი ფინანსურად თუ სოციალურად სწორედ მოძალადეზეა დამოკიდებული.

თუმცა, ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბარიერს კვლავ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ შშმ ქალები შესაძლოა ვერც აცნობიერებდენ, რომ მათ მიმართ ჩადენილი ქმედება ძალადობაა და თვლიდნენ, რომ ძალადობრივი ქმედება ნორმალურია. ინფორმაციის ნაკლებობა ამ კუთხით ასევე შეიძლება ნიშნავდეს იმასაც, რომ შშმ ქალებმა და გოგონებმა არ იციან მათი უფლებები, ან რომ ოჯახში ძალადობა დანაშაულია. სტეროტიპული დამოკიდებულებებიდან გამომდინარე, შშმ ქალებს და გოგონებს შესაძლოა არც უჯერებდნენ როდესაც ისინი საუბრობენ ძალადობისა და შეურაცხმყოფელი მოპყრობის საკუთარ გამოცდილებაზე, რაც იწვევს მათ მიერ ძალადობის გამოცდილების ნაკლებად გამჟღავნებას და ხელს უწყობს ძალადობის ნორმალიზებას.

მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ხშირად არ განიხილავენ ინტელექტუალური დარღვევის მქონე ქალებს როგორც "სანდო" მოწმეს, შესაბამისად ნაკლებია სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ნდობაც, ისინი შიშობენ რომ მათ არ დაუჯერებენ.

ბარიერები პანდემიის პირობებში

> გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტები[23] აღნიშნავენ, რომ პანდემიის პირობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგოების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის შემთხვევები გაიზარდა, მათ შორის ძალადობა, რომელიც ოჯახის წევრების მხრიდან იქნა ჩადენილი იზოლაციის პირობებში. ასევე, კარანტირის პერიოდში საზოგადოებისთვის დაიხურა ინსტიტუციები, შესაბამისად, იქ მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგოები აღმოჩნდნენ სრულ იზოლაციაში, რამაც გაზარდა მათ მიმართ განხორციელებული ძალადობა.

[23] CRPD Statement-25_11_2021-End-violence-against-Women-1. ხელმისაწვდომია: https://www.un.org/development/desa/disabilities/wp-content/uploads/sites/15/2021/12/CRPD-Statement-25_11_2021-End-violence-against-Women-1.pdf ბოლოს ნანახია: 18.01.2022

რეაგირება ოჯახში ძალადობაზე

მსხვერპლის დაცვის მიზნით არსებული სამართლებრივი მექანიზმები ითვალისწინებს მოძალადისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვას ან აკრძალვას, რაც ხორციელდება შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემით.

შემაკავებელი ორდერი - ოჯახში ძალადობის შესახებ გამოძახების დროს, შემთხვევის ადგილზე გადის შესაბამისი საპატრულო ეკიპაჟი. ძალადობის ფაქტის დაფიქსირებისას, პოლიციელი უფლებამოსილია, მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვის და ძალადობის განმეორების თავიდან აცილების მიზნით, გამოსცეს შემაკავებელი ორდერი, რითაც მოძალადეს შეიძლება აეკრძალოს გარკვეული მოქმედებების განხორციელება (მიახლოება მსხვერპლთან, საერთო ქონებით სარგებლობა, იარაღის ტარება და ა.შ.) ან/და დაიწყოს გამოძიება ოჯახში ჩადენილი დანაშაულის საქმეზე.

შემაკავებელი ორდერი გამოცემიდან 24 საათში ეგზავნება/ბარდება ოჯახში ძალადობის მსხვერპლსა და მოძალადეს, რომელთაც ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში შეუძლიათ მისი გასაჩივრება.

შემაკავებელი ორდერი გამოიცემა 1 თვემდე ვადით და იგი წარმოადგენს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვის მყისიერ ღონისძიებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით, სასამართლოსთვის მიმართვის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა.

დამცავი ორდერი - არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. სასამართლოსთვის დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე მიმართვის უფლება აქვს მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს ან მსხვერპლის თანხმობით პირს, რომელიც ამ უკანასკნელს უწევს სამედიცინო, იურიდიულ ან ფსიქოლოგიურ დახმარებას, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. შემაკავებელი ორდერისგან განსხვავებით, დამცავი ორდერი მოქმედებს გამოცემიდან 6 თვემდე ვადით.

[21] მომზადებულია Women With Disability and Domestic and Family Violence: A Guide For Policy and Practice მიხედვით. ხელმისაწვდომია: https://pwd.org.au/wp-content/uploads/2018/07/1.-A-Guide-for-Policy-and-Practice.pdf ბოლოს ნანახია:18.01.2022

[22] საქართველოს სახალხო დამცველი. ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში.2020. ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2020122316265153175.pdf ბოლოს ნანახია:18.01.2022

როგორ ვიქცევით თუ სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა არ გვსურს?

იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს არ სურს სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა, მას შეუძლია მიმართოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელ ჯგუფს, რომელიც იღებს გადაწვეტილებას სტატუსის მინიჭებაზე, რის შემდეგადაც მას შეუძლია ისარგებლოს სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი კრიზისული ცენტრის, თავშესაფრის მომსახურებით.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსს განსაზღვრავს:

- → საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური.
- → სასამართლო ორგანო.
- → ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებული ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი).

თუმცა, **სახელმწიფო დახმარებით სარგებლობა შესაძლებელია ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მიღებამდე.** ამ შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის დაცვის ღონისძიებებს. შესაბამისად კანონი ცნობს როგორც ოჯახში ძალადობის მსხვერპლს, ასევე ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის სტატუსს. ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი არის პირი, რომელსაც მიაჩნია რომ იგი არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი.

კრიზისული ცენტრი

სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მათ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას და სამართლებრივ დახმარებას.
კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობა ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის შეუძლია არაუმეტეს 7 სამუშაო დღის ვადით. ვადის გაგრძელება შესაძლებელია თუ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დადგენისთვის დაწყებული პროცედურები არ არის დასრულებული კრიზისულ ცენტრში პირის და მასზე დამოკიდებული პირების განთავსება შესაძლებელია მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრამდე და ამ სტატუსის განსაზღვრის შემდეგ, თუ მსხვერპლი არ გამოთქვამს საცხოვრებლად მისითავშესაფარში განთავსების სურვილს და საჭიროებს მხოლოდ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას და სამართლებრივ დახმარებას თავშესაფარში ცხოვრების გარეშე;

თავშესაფარი

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას და დაცვას; **თავშესაფრით მომსახურება ოჯახში ძალადობის მსხვერპლს შეუძლია 3 თვემდე ვადით** (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გაგრძელდეს დამატებით 3 თვის ვადით)ოჯახში ძალადობის მსხვერპლს თავშესაფარი უზრუნველყოფს ნორმალური არსებობისათვის შესაფერისი, უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილით, ოთხჯერადი კვებით, ჰიგიენის საშუალებებით, საჭიროების შემთხვევაში ტანსაცმლით, სამართლებრივი, ფსიქოლოგიური და სამედიცინო მომსახურებით , სოციალურ რეინტეგრაციაში დახმარებით და საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის მომსახურებით.

რა უნდა დავიმახსოვროთ ოჯახში ძალადობაზე?

- კრიზისული ცენტრით სარგებლობა ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინების გარეშეც შეუძლია.
- მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილზე დროებით დარჩენა და მოძალადის განრიდება ამ საცხოვრებლისგან შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ ეს საცხოვრებელი მოძალადის საკუთრებაა.

თუ თქვენ გსურთ ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით სხვადასხვას საკითხზე (კრიზისული ცენტრები, თავშესაფრები, მსხვერპლის დაცვის ღონისძიებები და სხვა) მიიღოთ ანონიმური კონსულტაცია, დაუკავშირდით სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში მოქალაქეთა საკონსულტაციო ცხელ ხაზს:

116 006

“112” ერთიანი საგანგებო ნომერი მოქმედებს 24/7 საათის განმავლობაში

თუ თქვენ გახდით ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ან ფლობთ ინფორმაციას ოჯახში ძალადობის შესახებ დაუკავშირდით

112

“112” ერთიანი საგანგებო ნომერი მოქმედებს 24/7 საათის განმავლობაში

საკანონმდებლო აქტების ბაზა

ქვემოთ მოცემულია ის ძირითადი საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი დოკუმენტები, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული გენდერულ ან/და ოჯახში ძალადობასთან, მათ შორის შშმ ქალებთან და მათი უფლებების დაცვასთან. აღნიშნული დოკუმენტები შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც პროექტების წერის, ასევე ადვოკატირებისა და ლობირების პროცესში. თითოეული დოკუმენტის კითხვის დროს, შეგიძლიათ გამოიყენოთ კომპიუტერის კლავიატურაზე CTRL+F ღილაკის ფუნქცია, ეკრანის მარჯვენა კუთხეში ამოგიგდებთ მართკუთხედის ფორმის პატარა ფანჯარას, სადაც თუ ჩაწერთ „შეზღუდული შესაძლებლობ“ ამოგიგდებთ ტექსტში ყველა იმ ადგილს, სადაც შეზღუდული შესაძლებლობაა ნახსენები. საჭიროებისამებრ შეგიძლიათ ჩაწეროთ სხვა საძიებო სიტყვები, მაგალითად: ძალადობა, ოჯახში ძალადობა, გენდერი, ინტერსექციური დისკრიმინაცია და სხვა.

საერთაშორისო დოკუმენტები

გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW/სიდოუ) 1979	კონვენციას, მის ფაკულტატურ ოქმსა და ზოგად რეკომენდაციებს სხვადასხვა საკითხზე (მაგალითად რეკომენდაციები ქალთა მიმართ ძალადობაზე) შეგიძლიათ ვრცლად გაეცნოთ ბმულზე - https://cutt.ly/1US20qb მაგალითად, CEDAW მე-18 რეკომენდაცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს რომ მიიღონ შესაბამისი ზომები რათა უზრუნველყონ შშმ ქალების თანაბარი ხელმისაწვდომობა განათლებაზე, დასაქმებაზე, ჯანდაცვის და სოციალურ სერვისებზე და ხელი შეუწყონ მათ აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, ხოლო 24-ე რეკომენდაცია აანალიზებს ჯანმრთელობის უფლებას შშმ ქალთა ჭრილში და აღიარებს, რომ კულტურული და ტრადიციული პრაქტიკები დისკრიმინაციის ერთ-ერთი რისკ ფაქტორია. CEDAW კომიტეტი ასევე მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, რომ მათ ანგარიშებში ასახონ ის პროგრესი, რომელსაც მიაღწიეს შშმ ქალების მიერ თავიანთი უფლებებით სრულად სარგებლობის უზრუნველსაყოფად.
სტამბოლის კონვენცია - ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენცია.	კონვენციის პრეამბულაშივე ხაზგასმულია, რომ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები და კონვენციაზე სხვა ხელმომწერი პირები ანგარიშს უწევენ შეზღუდული შესაძლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას და ადგენენ, რომ მხარეების მიერ ამ კონვენციის დებულებების განხორციელება, კერძოდ, მსხვეპლთა უფლებების დამცავი ზომების მიღება, უზრუნველყოფილია ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნის ჩათვლით. კონვენცია ახდენს ისეთი ქმედებების კრიმინალიზაციას, რომელსაც ხშირად ექვემდებარებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებიც, მათ შორის: იძულებითი აბორტი, იძულებითი სტერილიზაცია, ასევე ყურადღება გამახვილებულია ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სექსუალურ ძალადობაზე, ადევნებასა და შევიწროებაზე და განსაზღვრულია

	სახელმწიფოს ვალდებულებები ძალადობის პრევენციისა და ინტერვენციის ჭრილში კონვენციას შეგიძლიათ გაეცნოთ ბმულზე: https://cutt.ly/RUS9jCv
მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენცია (ICPD, 1994) და მისი სამოქმედო პროგრამა	ICPD განსაზღვრავს, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა, ქალთა გაძლიერება და რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობა და უფლებები გათვალისწინებული უნდა იყოს მოსახლეობის და განვითარების დაგეგმარებაში, რომ ყველა ადამიანს უნდა ქონდეს უფლება მიიღოს საკუთარი სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული თავისუფალი და ინფორმირებული გადაწყვეტილებები. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/RUS3O1Z
გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) მიზანი #5 - გენდერული თანასწორობა. 2015	მდგრადი განვითარების მე-5 მიზანი (გენდერული თანასწორობა) მათ შორის ემსახურება ქალთა მიმართ არსებული ძალადობის ყველა ფორმის და საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრას. შეზღუდული შესაძლებლობის ჭრილში მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2017 წელს, მდგრად განვითარებაზე ჩატარებული მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმის ფარგლებში, თემატურმა განხილვამ ხაზი გაუსვა შეზღუდული შესაძლებლობის საკითხთა ინტეგრირებას გენდერული თანასწორობის მიღწევაში და ქალთა გაძლიერებაში (მე-5 მიზანი) და ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაში (მე-3 მიზანი), რაც ემსახურება გენდერულ თანასწორობასა და შეზღუდულ შესაძლებლობებს შორის მონაცემების ხარვეზების აღმოფხვრას. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/bUS38Op

ეროვნული დოკუმენტები

საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. 2006	კანონი ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ინტერვენციის მექანიზმებს, ოჯახში ძალადობისგან არასრულწლოვნების დაცვის სპეციალურ ღონისძიებებს, ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის ფაქტზე სამართალწარმოების თავისებურებებს და მსხვერპლის უფლებების დაცვის გარანტიებს. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/WUS8cDh
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი	საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი აწესებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ოჯახში ჩადენილი ძალადობისთვის. **ოჯახში ძალადობა ისჯება 126(1) მუხლით** **მუხლი 11(1) განსაზღვრავს ოჯახის წევრთა წრეს** ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/5US8ZaG

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი	საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს VIII(3) თავში განსაზღვრავს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას მუხლი 21[12]. სასამართლოსათვის მიმართვა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის, აგრეთვე არასრულწლოვნის მშობლისგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლისგან ან არასრულწლოვანზე მოძალადე სხვა პირისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და გასაჩივრების წესი მუხლი 21[13]. დამცავი ორდერის გამოცემისა და გასაჩივრების წესი მუხლი 21[14]. შემაკავებელი ორდერის გამოცემისა და გასაჩივრების წესი მუხლი 21[15]. დამცავი ორდერით გასათვალისწინებელი საკითხები ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/GUS4Zcb

საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ. 2020	მუხლი 12. ექსპლუატაციისგან, ძალადობისა და დამამცირებელი მოპყრობისგან დაცვა 1. სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის, ქალებისა და ბავშვების, ექსპლუატაციისგან, ძალადობისა და დამამცირებელი მოპყრობისაგან დაცვას. 2.სახელმწიფო უზრუნველყოფს ზომების მიღებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ექსპლუატაციის, ძალადობისა და დამამცირებელი მოპყრობის ყველა ფორმის პრევენციის მიზნით, ასევე ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათი ოჯახის წევრებისა და მომვლელი პირების დახმარებასა და მხარდაჭერას ასაკისა და სქესის გათვალისწინებით ექსპლუატაციის, ძალადობისა და დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევების გამოვლენისა და თავიდან აცილების მიზნით. 3. სახელმწიფო უზრუნველყოფს ექსპლუატაციის, ძალადობის ან შეურაცხყოფის მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის პროგრამების ხელმისაწვდომობას. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/HIEn5dW

რა უნდა ვიცოდეთ ქალთა გაძლიერებასა და ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული დოკუმენტების შესახებ?

ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის აღმოფხვრასა თუ ქალთა გაძლიერებაზე მიმართული ყველა საერთაშორისო თუ ეროვნული დოკუმენტი პირდაპირ თუ ირიბად შშმ ქალებსაც ეხებათ მიუხედავად იმისა არის თუ არა სპეციალური აღნიშვნა ამაზე გაკეთებული, რადგან:

→ ქალთა უფლებები შშმ ქალებსაც მოიაზრებს და მათაც ეკუთვნის

→ თითოეული დოკუმენტის გამოყენება შეიძლება გაეროს შშმ პირთა უფლებათა დაცვის *2006* წლის კონვეციის მე-*6* მუხლთან კავშირში, რომელიც შშმ ქალებს ცალკე სწორედ იმიტომ გამოყოფს, რომ შშმ ქალები განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დგანან და შესაბამისად მათი სპეციფიური საჭიროებების გათვალისწინება ყველა დოკუმენტში, პროგრამასა და აქტივობაში აუცილებელია.

სასარგებლო ბმულები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ორგანიზაციები

ორგანიზაციის დასახელება	საკონტაქტო ინფორმაცია
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ეროვნული ქსელი	საქართველო, ქ. ბათუმი, ი. გრიშაშვილის ქუჩა N11, ბინა N23 https://www.facebook.com/WWD.Network.ge ; wwd.georgia@gmail.com; ტელ: (+995)551004204
პლატფორმა ახალი შესაძლებლობისთვის	საქართველო, ქ. თბილისი, გ. ნიორაძის ქუჩა N 22ა https://inlnk.ru/MjenjP ; pno.georgia@gmail.com ; ტელ: (+995)598408194 ;
ქალი და რეალობა	საქართველო, ქ. თბილისი, ც. დადიანის გამზირი N 315, ბინა N2 https://wandr.ge/ ; womanandreality1@gmail.com; ტელ: (+995)551004204
მზიანი ბილიკი	საქართველო, ქ. თბილისი, ვ. ნინუას ქუჩა N 3 biliki@gmail.com; ტელ: (+995)571001395 ;
ასოციაცია დეა	საქართველო, ქ. ზუგდიდი, ლაზის ქუჩა N 3; https://inlnk.ru/NDBNBD; dea@dea.org.ge; ტელ: (+995)577454588 ;
ფსიქიატრიის სერვის მომხმარებელთა და გადარჩენილთა საქართველოს ქსელი (GNUSP)	საქართველო, ქ. რუსთავი, თოდრიას მე-3-ე ჩიხი, კორპ. N 2, ბინა N 33; http://surl.li/bjbiy ; gnusp.ge@gmail.com ; ტელ: (+995)558723676;
გაძლიერების და მდგრადი მხარდაჭერის ცენტრი "ჰარმონია"	საქართველო, ქ. თბილისი, ძმობის ჩიხი N 10, ბინა N 3 ; https://inlnk.ru/1PLBLn; harmonycenter2020@gmail.com; ტელ: (+995)574520261;
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები თანასწორობისთვის	საქართველო, ქ. ქუთაისი, გ. ჭყონდიდელის ქუჩა N 91 https://www.facebook.com/WWDE.geo ; wwwd.geo@gmail.com; ტელ: (+995)598080510 ;
შშმ ქალთა ალიანსი	საქართველო, ქ. ბათუმი, ი. მესხის V ჩიხი N 4 ; https://inlnk.ru/l0eK0N ; womenwhitdisability@gmail.com; ტელ: (+995) 596282822 ;
ახალი თაობის ხმა	საქართველო, ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა N 26, ბინა N 6 https://www.facebook.com/ngo.vng2020; ngo.vng2020@gmail.com; ტელ: (+995)577065412;
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების გაძლიერების ცენტრი	საქართველო, ქ. ზუგდიდი, ს. კახათი, მ. კოსტავას ქუჩა N 11; https://www.facebook.com/centerwwd ; center.wwd@gmail.com; ტელ: (+995)598080510 ;
პროგრესის ვექტორი	საქართველო, ქ. ლანჩხუთი, მ. კუპრეიშვილის ქუჩა N 12 https://www.facebook.com/vectorofprogress ; vectorofprogress@gmail.com ; ტელ: (+995)598191981
მე ვარ ქალი	საქართველო, ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი N 19/13 ; http://surl.li/bjbjk; jishiashvili87@gmail.com ; ტელ: (+995)597985210 ;
ვოლფრამის სინდრომი საქართველო	საქართველო, ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა N 26, ბინა N 6 https://cutt.ly/iAo1QJI; wolframgeorgia@gmail.com; ტელ: (+995)599041399
კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი	საქართველო, ქ. გორი, თარხნიშვილის ქუჩა N 20ა https://www.facebook.com/GoriWDC ; bregvadzetina@gmail.com ; ტელ: 370 279825 ;

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო.

მისამართი	ქ. თბილისი. მიხეილ ასათიანის #9 სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების მისამართები იხილეთ ბმულზე: http://atipfund.gov.ge/res/docs/regionuli_centrebi.pdf
ტელ. ნომერი	○ სააგენტოს ნომერი (995 32) 2 39 53 11 ○ სააგენტოს ოჯახში ძალადობის საკონსულტაციო ცხელი ხაზის ნომერი **116 006**
მაილი	infocareagency@moh.gov.ge;
ვებ გვერდი	http://atipfund.gov.ge/geo
Facebook გვერდი	https://www.facebook.com/atipfundgeorgia/

ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი

მისამართი	ქ. თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის #9. 0112 ქსელის რეგიონული კომიტეტების საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ ბმულზე; http://avng.ge/menu/22
ტელ. ნომერი	○ ტელ/ფაქსი (+99532) 2726717 ○ ქსელის ცხელი ხაზის ნომერი **(+99532)2950679**
მაილი	antiviolence@avng.ge
ვებ გვერდი	http://avng.ge/
Facebook გვერდი	https://www.facebook.com/AVNG1

ქსელის ფილიალები

რეგიონი	**საკონტაქტო ინფორმაცია**
გორის კრიზისული ცენტრი	ჭავჭავაძის ქ. 47/12; ტელ.:**(+995)598386755**
გურჯაანის კრიზისული ცენტრი	ნონეშვილის გამზ. 5; ტელ.:**(+995)599512025**
ზუგდიდის კრიზისული ცენტრი	ზ. გამსახურდიას ქ. 43; ტელ.:**(+995)599966744**
ამბროლაურის კრიზისული ცენტრი	თამარ მეფის ქ. 1; ტელ: **(+995)591586207;**
ახალციხის კრიზისული ცენტრი	კოსტავას ქ. 109 ტელ.:**(+995)599548344**

ბიბლიოგრაფია:

საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ.. ხელმისაწვდომია:https://matsne.gov.ge/ka/document/view/4923984?publication=0
ბოლოს ნანახია: 11.01.2022

World Report on Disability. 2011.
ხელმისაწვდომია https://www.who.int/disabilities/world_report/2011/report.pdf
ბოლოს ნანახია: 11.01.2022

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ საქართველოში არსებული სტატისტიკური მონაცემები და ამ მხრივ არსებული გამოწვევები. კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.
ხელმისაწვდომია: http://disability.ge/ge/blogi/aq-unda-iyos-statistika
ბოლოს ნანახია: 11.01.2022

საქართველოს სახალხო დამცველი. ზოგადი წინადადება შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე.
ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2021071312330075040.pdf
ბოლოს ნანახია: 11.01.2022

სახალხო დამცველი როგორც თანასწორობის მექანიზმი. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) 2017.
ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/SOLv6kl
ბოლოს ნანახია: 12.01.2022

Green River College. Holman Library. Diversity, Equity, Inclusion, and Culturally Responsive Education: Intersectionality & Identity.
ხელმისაწვდომია: https://libguides.greenriver.edu/c.php?g=699114&p=4958309
ბოლოს ნანახია: 12.01.20221

ზოგადი წინადადება შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე.
ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2021071312330075040.pdf
ბოლოს ნანახია: 11.01.2022

ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო."ძალადობის რა ფორმები არსებობს?"
ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/5OLbf48
ბოლოს ნანახია: 13.01.2022

„თანასწორობის გზამკვლევი სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებისთვის" © 2021, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია /იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი. 2021.
ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/2020/tanasworobis_gzamkvlevi_geo.pdf
ბოლოს ნანახია: 18.01.2022

WHO. Female genital mutilation. 2020.
ხელმისაწვდომია:https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/female-genital-mutilation
ბოლოს ნანახია: 18.01.2022

CRPD Statement-25_11_2021-End-violence-against-Women-1.
ხელმისაწვდომია:https://www.un.org/development/desa/disabilities/wp-content/uploads/sites/15/2021/12/CRPD-Statement-25_11_2021-End-violence-against-Women-1.pdf
ბოლოს ნანახია: 18.01.2022

„Disabled people nearly three times as likely to experience domestic abuse as non-disabled, study finds",Charlotte Carter. 2021
ხელმისაწვდომია:https://www.communitycare.co.uk/2021/02/25/disabled-people-nearly-three-times-likely-experience-domestic-abuse-non-disabled-study-finds/
ბოლოს ნანახია: 12.01.2022

DAWN CANADA. Fact Sheet on Women with Disabilities and Violence.
ხელმისაწვდომია :https://www.dawncanada.net/issues/women-with-disabilities-and-violence/
ბოლოს ნანახია: 12.01.2022

Centre of Research Excellence in Disability and Health. Prevalence of violence and abuse of people with disability in Australia.
ხელმისაწვდომია: https://credh.org.au/nature-and-extent-of-violence/
ბოლოს ნანახია: 12.01.2022

Karen Y Sanders. Overprotection and lowered expectations of persons with disabilities: the unforeseen consequences.
ხელმისაწვდომია: https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/16971765/
ბოლოს ნანახია: 13.01.2022

Women With Disability and Domestic and Family Violence: A Guide For Policy and Practice მიხედვით.
ხელმისაწვდომია:https://pwd.org.au/wp-content/uploads/2018/07/1.-A-Guide-for-Policy-and-Practice.pdf
ბოლოს ნანახია:18.01.2022

საქართველოს სახალხო დამცველი. „ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში“.2020
ხელმისაწვდომია:https://www.ombudsman.ge/res/docs/2020122316265153175.pdf
ბოლოს ნანახია:18.01.2022